პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 დეკემბერი პარასკევი 1970 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 301 (14905)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

● **რუსთავი.** (საკ. კორ.). მარტენის ღუმელებთან პირველობას კვლავ № 3 ღუმელის კოლექტივი ინარჩუნებს. ქარხანაში მან პირველმა შეასრულა ხუთწლიანი დავალება და ახლა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში იძლევა პროდუქციას. მარტო დეკემბრის 20 დღეში გეგმის ზევით გამოდნობილია 518 ტონა ფოლადი. წინა თვესთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 0,1 პროცენტით, ტონა ფოლადის თვითღირებულება შემცირებულია 0,2 პროცენტით. ამ წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით მეფოლადეებს ლ. მეტრეველს, გ. ხებისკვერაძეს, პ. ბაირაკოვს, ი. კობიაშვილს.

● **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა 11 დეკემბრისათვის გადამეტებით შეასრულა რეალიზაციის მოცულობისა და პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა. ფეიერებმა სამშობლოს მისცეს 153 მილიონ 700 ათასი მანეთის ნაწარმი. ხამი აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების დავალება აქ ჯერ კიდევ 1 ოქტომბრისათვის გაანღდეს. კომბინატის საგამომყვანო ფაბრიკამ, რომელიც გასული წლის მაისში ამუშავდა, დღემდე 22 მილიონ 300 ათასი მეტრი აბრეშუმის მზა ქსოვილი გამოუშვა.

ᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲭᲐᲠᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐᲓ.

● **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ.** (საკ. კორ.). მარტენის ღუმელებთან პირველობას კვლავ № 3 ღუმელის კოლექტივი ინარჩუნებს. ქარხანაში მან პირველმა შეასრულა ხუთწლიანი დავალება და ახლა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში იძლევა პროდუქციას. მარტო დეკემბრის 20 დღეში გეგმის ზევით გამოდნობილია 518 ტონა ფოლადი. წინა თვესთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 0,1 პროცენტით, ტონა ფოლადის თვითღირებულება შემცირებულია 0,2 პროცენტით. ამ წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით მეფოლადეებს ლ. მეტრეველს, გ. ხებისკვერაძეს, პ. ბაირაკოვს, ი. კობიაშვილს.

● **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა 11 დეკემბრისათვის გადამეტებით შეასრულა რეალიზაციის მოცულობისა და პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა. ფეიერებმა სამშობლოს მისცეს 153 მილიონ 700 ათასი მანეთის ნაწარმი. ხამი აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების დავალება აქ ჯერ კიდევ 1 ოქტომბრისათვის გაანღდეს. კომბინატის საგამომყვანო ფაბრიკამ, რომელიც გასული წლის მაისში ამუშავდა, დღემდე 22 მილიონ 300 ათასი მეტრი აბრეშუმის მზა ქსოვილი გამოუშვა.

● **ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲯᲘᲫᲔ.** (საკ. კორ.). პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებს წარმატებით ასრულებს მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი. ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვით, რეზერვების გამოყენებითა და მომჭირნეობით ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა, მომავალი წლის ანგარიშში გამოუშვა დიდძალი პროდუქცია, მარტო წელს დაზოგა 75 ათასი მანეთი. ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის, რომ წლის ბოლომდე სამშობლოს მისცეს 390 ათასი მანეთის ავეჯი.

● **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საწარმოთა კოლექტივებმა 16 დეკემბრისათვის დაამთავრეს თავიანთი ხუთწლედი. საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს გაეწია 67.137 ათასი მანეთის მომსახურება — 23,5 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. (საქდესი).

ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲗᲘᲚᲦᲚᲔᲝᲓ

ᲐᲮᲐᲚᲘ წელი კარიბჭეზეა. რამდენიმე დღეც, და გამოვეთხოვებით 1970 წელს, რომელიც ბევრ კარგ მოსაგონარს და საგულისხმო უტოვებს ჩვენს ხალხს. მომავალი წელი კი უაღრესად ღირსშესანიშნავია ჩვენთვის, რადგან იგი საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის დამაგვირგვინებელი, პარტიის XXIV ყრილობის წელია. და სწორედ ამ დიდი თარიღების მიჯნაზე მიმდინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲗᲕᲠᲔᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲘᲡᲘᲐ.**

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ღრმად და ყოველმხრივ განიხილა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი წლის შედეგები, ახალი, 1971 წლის გეგმები — ხალხის მატერიალური და სულიერი წინსვლის პერსპექტივები. სესიის მაღალი ტრიბუნიდან დეპუტატები საქმიანად ლაპარაკობდნენ გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ და ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ ისინი უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების კიდევ უფრო სწრაფ ტემპს, დასახავენ ფართო პერსპექტივებს მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომითი აქტივობის შემდგომი ზრდისათვის. დეპუტატებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით გადაწყდება. ამის უტყუარი საწინდარია ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

მაინც რით არის აღსანიშნავი მერვე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი? ამაზე ნათლად და მრავლისმთქმელად მეტყველებენ სესიის მასალები, რომლებშიც ნათქვამია, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში მიღწეულია შესამჩნევი წარმატებები. სახელდობრ, სამრეწველო პროდუქციის წარმოების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის, საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის ტვირთბრუნვის, საცალო საქონლებრუნვის გეგმის მაჩვენებლები გადაჭარბებით შესრულდება.

წინასწარი მონაცემებით 1970 წელს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა შარშანდელთან შედარებით 8 პროცენტით და მეტად გაიზარდა, ამოქმედდა სახალხო მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები. როგორიც არის რუსთავის ქიმიური კომბინატის მეორე რიგი, ახალუბი რკინაბეტონის ნაკეთობათა სიმძლავრეები, მეფრინველეობის ფაბრიკები, სარწყავი და ამოშრობილი მიწის ფართობები, ელევატორები, საავტომობილო გზები და ა. შ. დიდი მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში, სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში, მეურნეობასა და კულტურის ყველა დარგში.

საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების სამაყო პერსპექტივებია დასახული 1971 წლის გეგმაში, რომელიც მოიცავს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მნიშვნელოვან წინსვლას. არ შეიძლება საქართველოს თვითეულ მშრომელს გული სიამაყის გრძნობით არ აევსოს, როცა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წინსვლის ასეთ ციფრებს გაეცნობა:

მომავალ წელს ელექტროენერგიის წარმოება გათვალისწინებულია 9 მილიარდ 500 მილიონი კილოვატ-საათის ოდენობით, რესაუნლიკას მოსახარდება 2 მილიარდ 888 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი, წარმოებული იქნება 765 ათასი ტონა თუჯი, 1 მილიონ 422 ათასი ტონა ფოლადი, 1 მილიონ 187 ათასი ტონა ნაგლინი, 479 ათასი ტონა ფოლადის მილები, მინერალური სასუქების წარმოება გაიზრდება 1,5-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება — 10 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზრდება საშენი მასალების წარმოება, მსუბუქი, კვების მრეწველობა, ვაჭრობა, განვითარდება ტრანსპორტი, მეცნიერება და ტექნიკა, ამაღლდება ხალხის ცხოვრების დონე.

სესიაზე დეპუტატთა ყურადღების ცენტრში იყო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების აქტუალური საკითხები. დეპუტატებმა თავიანთ ღრმაშინაარსიან გამოსვლებში ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო რეფორმას და დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების პროგრესულ პრინციპებს. ისინი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა უნარიანად შეუხამონ მატერიალური სტიმულირების სისტემა მორალურ წახალისებას, განამტკიცონ დისციპლინა, უფრო სრულად გამოიყენონ პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების არსებული რეზერვები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი წლის გეგმები ნათლად მეტყველებს ჩვენი რესპუბლიკის მდიდარ შესაძლებლობაზე მატერიალური დოვლათის შექმნის, სახელმწიფო ძალიერების შემდგომი ამაღლების დიდ საქმეში. სესიაზე დეპუტატებმა მომავალი წლის გეგმის ყოველმხრივ განხილვასთან ერთად ილაპარაკეს გამოყენებულ რეზერვებზე, ნაკლოვანებებზე, რომლებმაც თავი ინინა 1970 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის დროს. განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება რესპუბლიკის ადგილობრივი, მსუბუქი მრეწველობის, სოცკულტურნეოფოფოების და ზოგიერთ სხვა სამინისტროთა საწარმოების მუშაობის ნაკლოვანებებზე, გამოშვებული პროდუქციის დაბალ ხარისხზე. დეპუტატებმა მტკიცე განაწესი მისცეს სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოთა ხელმძღვანელებს, რათა სისტემატურად განიხილონ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები, იბრძოლონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ ცხადყო ჩვენი რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი ძალების სიდიადე, ჩვენი ადამიანების მისწრაფება განუხრელად განახორციელონ პარტიის შთამაგონებელი გეგმები. სესიის დოკუმენტები, საქართველოს მშრომელების რჩეულთა გამოსვლები საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომის მასშტაბების შთამბეჭდავ სურათს ქმნიან.

სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების საბრძოლო პროგრამაა 1971 წლისათვის. პარტიული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, მთელი ჩვენი პარტიულ-სამეურნეო კადრების ამოცანა ის არის, რომ სათავეში ჩაუდგნენ ხალხის შრომითს აღმავლობას სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ორი ხუთწლედის მიჯნაზე იმათ პირველ რიგებში, ვინც თავისი შრომით განამტკიცებს სამშობლოს ძლიერებას, სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებას, არიან და იქნებიან კომუნისტები. ცხადია, პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების აქტივი, ყველა მშრომელი ენერგიული შრომით ასახელებენ სამშობლოს, ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის ეკონომიური, კულტურული, სოციალური წინსვლის გეგმების შესრულებას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განვითარების შესანიშნავ პერსპექტივებს.

ახლა მთელი ჩვენი ხალხის, ყველა მშრომელის ხაპაპიო ამოცანა ის არის, რომ წარმატებებით შეხვდეს პარტიის XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ, **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ.**

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲗᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა. წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნება 200 მილიონზე მეტი მანეთის ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებანი. ამ სახეობის პროდუქციის წარმოება 1970 წელს გასულ წელთან შედარებით 20 პროცენტით გაიზრდება.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ტვირთის გადაზიდვის წლიური გეგმა შიდა და საზღვარგარეთ ნაოსნობის დროს.

წლის დამლევამდე შიდა ნაოსნობით გადაზიდული იქნება გეგმის გადამეტებით 4 მილიონი ტონაზე მეტი ტვირთი.

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ „საქქვანახშირის“ შახტებისა და საწარმოების კოლექტივებმა, დადგნენ რა სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითის ვახტზე, ახალი საწარმოო წარმატებანი მოიპოვეს. 21 დეკემბრისათვის მათ გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმა. გეგმის ვადამდე შესრულებაში ნაკეთობათა სიმძლავრეები, ბეტონის ხუთწლიანი გეგმა. ამ წარმატებას მან სამუშაო დროის ეკონომიით, მომიჯნავე პროფესიების შესწავლით მიაღწია; მზია არათანაშვილი ახლა 4 მანქანას ემსახურება; უხარისხო პროდუქციას ვერასდროს ვერ ნახავთ თითისტრებზე, მათი რიცხვი კი ათას ორასზე მეტია. კომუნისტური შრომის დამკვრელის, ახალგაზრდა მრთველის შრომის მაგალითი მისახაძია. მაგრამ იგი მოწინავე მარტო შრომაში როდია, აქტიური საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა, კომბინატის პარტიული კომიტეტის წევრია.

ᲑᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მზია არათანაშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲡᲣᲗᲤᲚᲔᲓᲘᲡ ᲒᲔᲘᲠᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ 40.100 ᲢᲝᲜᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ რაიონი საქართველოს ინტენსიური მებოსტნეობის ზონაა. აქაური მეურნეობანი იძლევიან იმ ბოსტნეულის მეოთხედ ნაწილს, რაც რესპუბლიკაში მზადდება. ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმით რაიონმა სახელმწიფოს უნდა მიაყიდოს 33.537 ტონა პამიდორი, კომბოსტო, კიტრი, ბადრიჯანი, სუფრის ჭარხალი, ხახვი, სტაფილო, სხვა ბოსტნეული.

14 დეკემბრისათვის რაიონში დამზადებულია ყველაზე მეტი ბოსტნეული — 40.100 ტონა, რაც კი წინა წლებში დამზადებულა. აქედან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიგზავნა 10 ათასი ტონა.

უხვი მოსავლის მიღებასა და დამზადებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი მ. გასანოვი), დიდმის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ე. დანელია), გარდაბნის კირთვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი მ. ხიალოვი), ულიანოვკის მეთესლეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ლ. მიმინოშვილი) კოლექტივებმა. (საქდესი).

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲛᲒᲐᲥᲝᲗᲗᲐ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ

ᲑᲐᲐᲩᲐᲚᲔᲡ რა შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ბოლნისის რაიონის მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მოყიდვის გეგმა. 20 დეკემბრისათვის დამზადებულია 8.512 ცენტნერი თამბაქო გეგმით გათვალისწინებული 8.500 ცენტნერის ნაცვლად.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს თამბაქოს წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი დავალებაც. ამ პერიოდში დამზადებულია 42.510 ცენტნერი თამბაქო, გეგმაზე 5.010 ცენტნერით მეტი.

მეთამბაქოობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოფელ ფარხალოს კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“, სოფელ იმირასნის კალინინის სახელობის, სოფელ ქოჩულოს 26 კომისრის სახელობის, სოფელ ქვეშის კოლმეურნეობებმა, ოფახლოსა და ბოლნისის საბჭოთა მეურნეობებმა. (საქდესი).

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔ

24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ინფორმაციის დღე.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ნ. მელაძემ გააკეთა ინფორმაცია საფრანგეთში საბჭოთა კავშირის კულტურის დღეების შედეგების შესახებ.

საერთაშორისო მდგომარეობა მიმოიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ო. შ. ქაჯაიამ. (საქდესი).

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

24 დეკემბერს დამთავრდა საერთაშორისო საკითხებზე მომუშავე პოლიტინფორმატორთა რესპუბლიკური სემინარი, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. სემინარის მუშაობაში 200-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგემ ვ. კაპანაძემ.

მოისმინეს მოხსენებანი: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის პირველი მოადგილის ბ. ბედინაშვილისა — „იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგის მოადგილის რ. დოდონაძისა — „პოლიტინფორმაციის ჩატარების მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი“.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები: პროფესორ დ. ენუქიძისა — „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპები“, პროფესორ ვ. მენაბდისა — „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ს. ᲨᲠᲘᲨᲘᲜᲔᲑᲘᲡᲘᲡ — „სსრ კავშირის ბრძოლა ევროპის უშიშროების პრობლემის გადაჭრისათვის“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობისა და შეკავშირებისათვის“.

მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესორმა ი. მიქელაძემ. ლექცია საქართველოს საზღვარგარეთული კავშირურთიერთობის შესახებ წაიკითხა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგემ პ. მასხარაძემ.

გაიმართა აგრეთვე მუშაობის გამოცდილების გაზიარება. (საქდესი).

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲨᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

„ᲚᲣᲜᲝᲮᲝᲓ-1“ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

„ᲚᲣᲜᲝᲮᲝᲓ-1“ თვითმავალმა ავტომატურმა სადგურმა წარმატებით დაამთავრა მეორე მთვარის დღისათვის დაგეგმილი მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტების ფართო პროგრამა.

მთვარემავალთან რადიოკავშირის დასკვნითს სეანსში, რომელიც გაიმართა 22 დეკემბერს 7 საათიდან 8 საათსა და 36 წუთამდე მოსკოვის დროით, მოეწყო მთვარის ღამისათვის ავტომატური აპარატის მომზადების ოპერაციები, გაჩერების შერჩეულ რაიონში მთვარემავალმა განახორციელა მთელი რიგი მანევრები გათვალისწინებულ საორიენტაციო მდგომარეობაში დადგომის მიზნით.

ამის შემდეგ დედამიწაზე გადმოიცა მთვარის ზედაპირის პანორამა და მეცნიერული ინფორმაცია ავტომატური აპარატის გასაზომი ხელსაწყოებიდან. კავშირის სეანსის ბოლოს მზის ბატარეის პანელი დაიხურა, ხოლო მთვარემავლის საბორტო სისტემები ჩადგა მორიგ რეჟიმში. მთვარის ღამის პერიოდში 1970 წლის 23 დეკემბრიდან 1971 წლის 7 იანვარამდე ავტომატური აპარატი „ლუნოხოდ-1“ იქნება სტაციონარულ მდგომარეობაში.

მთვარემავალზე დადგმული ლაზერის ამრეკლავი ისეთ მდგომარეობაშია მოყვანილი, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დაინტერესებული ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებმა განახორციელონ ლაზერული ლოკაციის ექსპერიმენტები. ამრიგად, მთვარემავლის აქტიური მუშაობის მეორე ეტაპი დამთავრდა.

როგორც ვიცით, „ლუნოხოდ-1“ საბჭოთა ავტომატურმა აპარატმა მეცნიერული და ტექნიკური კვლევა მთვარეზე დაიწყო ზღვის რაიონში 1970 წლის 17 ნოემბერს. მთვარემავლის მუშაობის 35 დღეღამის მანძილზე, რომელიც შეიცავდა მუშაობის ორ აქტიურ პერიოდს მთვარის დღისა და მთვარის ღამის პირობებში, მიღებულია დიდძალი ელექტრომექანიკური ინფორმაციის და ტელევიზიური მონაცემები თვითმავალი აპარატის გამოცდისა და მთვარისა და კოსმოსური სივრცის მეცნიერული კვლევის შესახებ.

კვლევის პროგრამის დიდმნიშვნელოვანი ნაწილი იყო მთვარის კვლევისათვის ავტომატური მოძრავი აპარატის სალის თვისებების ყოველმხრივ შემოწმება. რადიოკავშირის 14 სეანსის განმავლობაში, როცა ხორციელდებოდა თვითმავალი აპარატის მოძრაობა და მანევრირება, გავლილი იყო 1719 მეტრი. ამასთან „ლუნოხოდ-1“ დასაჯდომ საფეხურს დაშორდა დაახლოებით 1370 მეტრი მანძილით.

მთვარის ადგილას ავტომატური სადგურის მოძრაობა და სხვადასხვა დაბრკოლების — კრატერების, ქვების, ადმართებისა და დაღმართების გადალახვა გახდა მთვარემავლის საექსპლოატაციო მახასიათებლების, მისი მანევრულობისა და გამავლობის კარგი შემოწმება.

მთვარემავლის მანევრირების, მნიშვნელოვანი დახრილობის დაბრკოლებათა გადალახვისა და გვერდის ავლის დროს წარმატებით მუშავდებოდა დედამიწიდან თვითმავალი აპარატის მართვის მეთოდები, ამასთან გამოყენებული იყო ზედაპირის სატელევიზიო და ტელეფოტომეტრიული გამოსახულებები და ტელემეტრიული ინფორმაცია აპარატის მდგომარეობის შესახებ.

მთვარემავლის გამოცდების კომპლექსმა გვიჩვენა მისი მაღალი საიმედოობა, მანევრულობა, მართულობა.

მუშაობის პროცესში მივიღეთ მთვარის ზედაპირისა და გარემოს სხვადასხვა უბნის ათობით ტელევიზიო-ტელეფოტომეტრიული პანორამა და ადგილმდებარეობის დიდძალი სატელევიზიო გამოსახულებანი. მიღებულ სატელევიზიო ინფორმაციას ვიყენებდით როგორც მთვარემავლის მოძრაობის მართულების შერჩევისა და ორიენტაციისათვის, ისე ზედაპირის ტოპოგეოდეზიური და გეომორფოლოგიური კვლევის განსახორციელებლად.

მოძრაობის ტრასაზე განეწყვეტლივ ეწყობოდა გრუნტის ზედაპირული ფენის, აგრეთვე სწორი ზედაპირის, კრატერების ფერდობებისა და ცალკეული ქვების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევა. რენტგენის სპექტრომეტრის საშუალებით ზოგიერთ რაიონში განისაზღვრებოდა ძირითადი ქანწარმომმობი ქიმიური ელემენტების შემცველობა.

ავტომატური აპარატის მრავალი დღეღამის მუშაობის დროს მიღებულია ერცელი ინფორმაცია კოსმოსური კორპუსკულარული გამოსხივების ნაკადების შესახებ.

მეცნიერებისათვის დიდად საინტერესოა მონაცემები მზეზე ქრომოსფერული აფეთქებით გამოწვეული კორპუსკულარული გამოსხივების ინტენსივობის ზრდის დინამიკის შესახებ.

რენტგენული, ტელესკოპის გამოყენებით რეგულარულად იზომებოდა გალაქტიკის გარეშე რენტგენული ფონის ინტენსივობა და კუთხოვანი განაწილება და ცალკეული წყაროებიდან რენტგენული გამოსხივება.

მიღებულ მეცნიერულ ინფორმაციას ამუშავებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში.

ამჟამად, ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, მთვარემავლზე ღამის დადგომის წინ პარამეტრები გათვალისწინებულის ფარგლებშია. ტემპერატურა ნაკვეთურებში შეადგენს პლუს 15 გრადუსს ცელსიუსით, წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 765 მილიმეტრს.

ᲬᲕᲘᲛᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲖᲔ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲡᲛᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. 24 დეკემბერი. (საქდესი). გუშინ ვარშავაში გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სესია.

სეიმმა დაამტკიცა მ. სპიხალსკის თხოვნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან განთავისუფლების შესახებ.

სეიმმა დაამტკიცა აგრეთვე ი. ცირანკევიჩის თხოვნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

შემდეგ გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი. დეპუტატთა კლუბების სახელით მან სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დაასახელა ი. ცირანკევიჩის კანდიდატურა, დაახასიათა რა იგი როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსახილველად წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტი მოწონებულ იქნა როგორც უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების, ასევე ამ სესიაზე გამოსული დეპუტატების მიერ.

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში დააყენეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების უკეთ გამოყენებლად და სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად.

ყურადღება იყო გამახვილებული მოქმედ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებაზე, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მშენებლობის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დამავალა დეპუტატების მიერ დასმულ საკითხზე მოგახსენოთ შემდეგი.

ამხანაგმა ბუხრაშვილმა და დეპუტატმა ამირბამ დასვეს საკითხი თბილისსა და სოხუმში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნას ერთიანი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და სათანადო წინადადებას წარმოუდგენს მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

ამხანაგი ბუხრაშვილი აყენებს საკითხს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 10 მილ. 600 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ არაცენტრალიზებული წყაროებიდან საბინაო მშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უკვე დაავალა ფინანსთა სამინისტროს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად განიხილოს ეს საკითხი და 1971 წლის იანვარში წარუდგინოს სათანადო წინადადება განსახილველად.

დეპუტატმა ამიჩბამ დააყენა რამდენიმე საკითხი — საბინაო მშენებლობაზე დამატებით 400 ათასი მანეთის გამოყოფის, ქ. სოხუმის მესამე რაგის წყალსადენის დაპროექტებისა და ბესლეთის წყალსადენის მშენებლობის დასაწყებად სახსრების გამოყოფისა და მეორე ელექტროქვესადგურის მშენებლობის შესახებ.

კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობაზე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გამოყოფილი აქვს 1970 წლის დონეზე 1 მილიონ 40 ათასი მანეთის ოდენობით და დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გამოყოფის საშუალება ამჟამად არ არის.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საბინაო მშენებლობაში ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების გეგმა აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ 11 თვეში შეასრულა მხოლოდ 62 პროცენტით.

კომუნალური ობიექტების მშენებლობისათვის აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გამოყოფილი აქვს 2 მილიონ 360 ათასი მანეთი ნაცვლად 1 მილიონ 700 ათასი მანეთისა 1970 წელს, ანუ 39 პროცენტით მეტი. კაპიტალური დაბანდებების ამ დანიშნულებით უფრო მეტად გაზრდის საშუალება არ მოიპოვება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. სოხუმში მეორე ელექტროქვესადგურის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი სოხუმის საქალაქო საბჭოს მიერ დაცემული იყო სხვა ორგანიზაციაზე და ახლად გამოყოფილ ნაკვეთზე პროექტი დღემდე შედგენილი არ არის, 1971 წელში მიზანდების გამოყოფის საშუალება ამჟამად არ არის.

მომავალ წელს მთელი ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალური და ფინანსური რესურსების უკეთ გამოყენებას, მათ თავმოყრას დაწყებული და პირველ რიგში ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობაზე. იმ შემთხვევაში, თუ გეგმის შესრულების მსვლელობაში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება ცალკეული ობიექტების მიხედვით გადაჭარბებს გეგმით გათვალისწინებულ მოცულობას, საკითხი სახსრების გადანაწილებისა და მათთვის დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ განხილული იქნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

დეპუტატებმა შადურმა და არზუმანიანმა დასვეს საკითხი ადმინისტრაციული სახლების მშენებლობის შესახებ. სესიას უნდა მოგახსენო, რომ 1970 წელს ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხარჯზე მშენებლობის პროცესში 20 ადმინისტრაციული სახლია, აქედან მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს შვიდი, 1971 წლისათვის გარდამავალი რჩება 13, რომელთა მშენებლობაზე წარმართება რესპუბლიკისათვის. ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები. კიდევ ახალი ადმინისტრაციული სახლების მშენებლობაზე დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გამოყოფა მიზანშეწონილი არ არის.

დეპუტატებმა შადურმა და თაქთაქიშვილმა დასვეს საკითხი კულტურის სახლების მშენებლობის შესახებ.

მიმდინარე წელს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე შენდება 9 კულტურის სახლი, აქედან დასახულია ორი სახლის მშენებლობის დამთავრება, ხოლო დანარჩენი გარდამავალი ობიექტებია. 1971 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ლენინგორის, წალკის და ბარისახოს კულტურის სახლების მშენებლობის დაწყება. გარდამავალი და ახალი ობიექტების მშენებლობის დასამთავრებლად საჭიროა 5 მილიონ 500 ათასი მანეთი. 1971 წლისათვის კაპიტალური დაბანდებანი გამოყოფილია 1 მილიონ 460 ათას მანეთამდე, რაც ბევრად აღემატება 1970 წლის ასიგნებას კულტურის სახლების მშენებლობაზე. ამ ვითარებაში კიდევ ახალი კულტურის სახლების მშენებლობის დაწყება მიზანშეწონილი არ არის.

დეპუტატებმა არზუმანიანმა, საბაშვილმა, ჭუბაბრიამ და ვლასოვამ დასვეს საკითხი ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებისა და საავადმყოფოების მშენებლობის დაწყების შესახებ.

მომავალ წელს გეგმის პროექტით გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 6 ათას 530 მოსწავლის ადგილით მეტი და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებები 1130 ადგილით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. ამ ღონისძიებების განხორციელებას მოსმარდება 21 მილიონ 570 ათასი მანეთი. განათლების სამინისტრო გამოყოფილი თანხების ფარგლებში განიხილავს ცალკეულ რაიონში სკოლების მშენებლობის საჭიროების საკითხს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება ახალი საავადმყოფოების მშენებლობის დაწყებას, დეპუტატებს მინდა მოვახსენო, რომ მიმდინარე წელს საავადმყოფოების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები არ სრულდება. თერთმეტ თვეში საექსპლოატაციოდ გადაეცა საავადმყოფოები 160 საწოლით ნაცვლად 1540-სა წლიური გეგმით, ან მხოლოდ გეგმის 10 პროცენტი. მომავალ წელს ჯანმრთელობის დაცვის დარგში გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს საავადმყოფოები 1840 ადგილით, რისთვისაც გამოყოფილია სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი 18 მილიონ 120 ათასი მანეთის მოცულობით, რაც 11,4 პროცენტით აღემატება 1970 წლის დონეს. იმის გამო, რომ მომავალ წელს ჯანმრთელობის დარგის კაპიტალური დაბანდებანი მთლიანად მიმართულია გარდამავალი ობიექტების დასამთავრებლად, ამიტომ არ არის შესაძლებელი დაკმაყოფილდეს დეპუტატების თხოვნა.

ამხანაგებმა ბუხრაშვილმა, ჯიოევმა, ცოცილაშვილმა და დეპუტატებმა სეფაშვილმა, არზუმანიანმა, ამიჩბამ, სიორიძემ, ცქვიტინიძემ, შადურმა, საბაშვილმა, მანძულაშვილმა, ყიფტმა, ჭუბაბრიამ, ვლასოვამ, ფარკოსაძემ, თაქთაქიშვილმა და დავითაშვილმა დააყენეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ზოგიერთი დეპუტატი გამოვიდა აგრეთვე მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნებით ცალკეული სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ორგანიზაციების მისამართით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დამავალა მოგახსენოთ, რომ საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიებისა და დეპუტატების მიერ შემოტანილი ყველა დანარჩენი წინადადებანი და შენიშვნები გულდასმით იქნება განხილული და მიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებანი, რის შესახებაც ეცნობებათ დეპუტატებს.

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის განხილვის დროს სესიის ყველა მონაწილემ თავის გამოსვლაში უჩვენა ღრმა მისწრაფება მოინახოს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ყველაზე უფრო კარგი გზა, როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარების გადამწყვეტი საშუალება.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის წარმატებით შესრულება სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს მუშაობის გაუმჯობესებას, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებისაგან ინიციატივასა და შემოქმედებითი მუშაობის შემდგომ გაშლას და სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების უკეთ გამოყენებას.

უნდა გამოვქვათ რწმენა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები წარმატებით შეასრულებენ მომავალი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას და თავიანთ წვლილს შეიტანენ საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში. (ტაში).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — სკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელი დ. წივწივაძე, წყალტუბოს რაიონის სოფელ ბატრიკეთის კოლმეურნეობის წევრი ლ. ჯანელიძე, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველი ზ. პაპასპირი, ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ხეფაშვილი, შუახევის რაიონის სოფელ ჭვანის საუნთაშორისო საავადმყოფოს ექიმი ლ. ხოზრევანიძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი ზ. ბუცხრიკიძე.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ს. ჭრაპაიძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვამ ცხადყო, რომ იგი მთლიანად შეესაბამება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანებს.

უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ დარგობრივ კომისიებთან ერთად გულდასმით განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი 1971 წლის ბიუჯეტის პროექტი, აგრეთვე წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც შეტანილია ამ პროექტის გამო.

განხილვის შედეგად საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ საჭიროდ ცნო ზოგიერთი ცვლილების შეტანა რესპუბლიკის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში. ეს ცვლილებები დაწვრილებით არის მოცემული საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნებში, რაც ამ კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. გელაშვილმა გამოაქვეყნა.

თანახმად საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წინადადებებისა, საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი იზრდება 4.750 ათასი მანეთით, აქედან ბრუნვის გადასახადის ანარიცხები 2.750 ათასი მანეთით და საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში შენატანები 2.000 ათასი მანეთით. ბიუჯეტის ხარჯები იზრდება აგრეთვე 4.750 ათასი მანეთით, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტი 1.275 ათასი მანეთით და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტები 3.475 ათასი მანეთით.

დასახელებული თანხების განაწილება ცალკეულ ღონისძიებათა და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მოცემულია საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნებში, რომელიც დეპუტატებს დაურიგდათ.

დავალებული მაქვს მოგახსენოთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის ეს წინადადებები და შესაძლებლად მიაჩნია მათი მიღება.

ამის გათვალისწინებით საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა გადიდდება 4.750 ათასი მანეთით და შეადგენს როგორც შემოსავლის, ისე ხარჯების ნაწილში 1.345.927 ათას მანეთს.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი 1971 წლისათვის და შემოიტანეს წინადადება მისი დამტკიცების შესახებ.

დეპუტატებმა — ამიჩბამ, მაღლაფერიძემ, მამათელაშვილმა და თაქთაქიშვილმა დააყენეს საკითხი სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისათვის ინვენტარის შესაძენად და შენობის კაპიტალურ რემონტზე დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ.

დეპუტატებს უნდა მოგახსენო, რომ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო საგეგმო კომისიის წინადადებით გათვალისწინებულია სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე როგორც ადგილობრივი ბიუჯეტებით, ისე რესპუბლიკური ბიუჯეტით სახსრების დამატებით მიცემა, სადაც გათვალისწინებულია აღნიშნული დეპუტატების თხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

დეპუტატებმა — ამიჩბამ, მაღლაფერიძემ, ჯიოევმა, არზუმანიანმა, მანძულაშვილმა დააყენეს საკითხი ქალაქების, დაბების და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის ღონისძიებათა დასაფინანსებლად გათვალისწინებული ხარჯების გადიდების შესახებ. მოგახსენებთ, რომ ამ საკითხებმა თავიანთი დადებითი გადაწყვეტა ნაწილობრივ ჰპოვეს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნებსა და წინადადებებში, ამიტომ ცალკეულ მათ შესახებ ალარ შევჩერდები.

დეპუტატმა ამიჩბამ მოითხოვა აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტში მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადის გეგმის 500,0 ათ. მანეთით შემცირება.

აღნიშნული შემოსავლის გეგმა 1971 წლისათვის აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტში განსაზღვრულია 1970 წლის მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით და მისი შემცირებისათვის ამჟამად არ არის საფუძველი.

დეპუტატი ჯიოევი მოითხოვს ადგილობრივი მრეწველობის ხაზით ბიუჯეტში მოგებიდან გადასახდელებისა და ბრუნვის გადასახადის გეგმის გადასინჯვას, იმ მოტივით, რომ მათთვის არ არის გამოყოფილი ნედლეულის ფონდები საჭირო ოდენობით.

მოგახსენებთ, რომ მოგებიდან გადასახდელების და ბრუნვის გადასახადის გეგმები ანაწილებენ ადგილობრივ კომბინატთან ნაქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების მიხედვით.

ამიტომ დეპუტატ ჯიოევის ეს წინადადება საჭირო დამატებით იქნას განხილული, და თუ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით შესაძლებლად მიიჩნევს გეგმის შეცვლას, შესაბამისად შეცვლილი იქნება საფინანსო მაჩვენებლებიც.

დეპუტატებმა ფარკოსაძემ და ჯიოევმა დააყენეს საკითხი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის საბიუჯეტო ასიგნობათა გადიდების შესახებ.

ცნობილია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1969 წლის ოქტომბრის რძალნებულების შესაბამისად 1970 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხვედრითი მონაწილეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობასა და კაპიტალურ რემონტში მნიშვნელოვნად გადიდებულია.

ამასთან დაკავშირებით საგზაო მშენებლობისა და რემონტისათვის ასიგნობათა ის ოდენობა, რაც ბიუჯეტით არის გათვალისწინებული, საკმაოდ უნდა ჩაითვალოს.

დეპუტატებმა მაღლაფერიძემ და ჯიოევმა მოითხოვეს ფიზკულტურის ღონისძიებებზე თანხების დამატებით გამოყოფა.

ფიზკულტურის და სპორტის განვითარებას ყოველთვის დიდ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ. მით უფრო მომავალ წელს, როცა ჩატარდება ხალხთა სპარტაკიადა, სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების წარმატებით გამოსვლას ველოდებით. დამატებითი თანხების საჭიროების შემოხვევაში ისინი გაცემულ უნდა იქნას შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტიდან, შესრულების წესით.

დეპუტატმა ჯიოევმა მოითხოვა სასოფლო საბჭოების შენობების რემონტისათვის 100 ათასი მანეთის გამოყოფა.

სესიას უნდა მოვახსენო, რომ აღნიშნული მიზნით და ინვენტარის შესაძენად 1971 წლისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წინადადებით დამატებით ეძლევა 22 ათასი მანეთი.

ამასთან ადგილობრივ ორგანოებს საბიუჯეტო უფლებების შესაბამისად შეუძლიათ ბიუჯეტით დამტკიცებულ თანხებს ზევით გაიღონ სახსრები სასოფლო საბჭოების შენობების რემონტისათვის ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლიდან.

დეპუტატებმა ამიჩბამ და ჯიოევმა მოითხოვეს აფხაზეთის ასსრ კაპელისა და სიმფონიური ორკესტრის და ცხინვალის დრამატული თეატრის ანსამბლისათვის დოტაციის გადიდება.

დეპუტატებს მოვახსენებ, რომ აფხაზეთის ასსრ კაპელის და სიმფონიური ორკესტრისათვის დოტაცია გათვალისწინებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გაანგარიშების მიხედვით 62 ათ. მანეთის ოდენობით. ამასთან ახლახან ჩატარებულ რევიზიით დადგენილია, რომ აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მიერ მისი შექმნის დღიდან 17 თვის განმავლობაში ჩატარებულია მხოლოდ 8 კონცერტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 115 კონცერტისა, მიღებულია შემოსავალი 1,3 ათ. მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 67 ათასი მანეთისა. საგუნდო კაპელას კი 17 თვეში არცერთი კონცერტი არ ჩაუტარებია, ამასთან ბიუჯეტიდან გაცემულია კაპელაზე 80 ათასი მანეთი და სიმფონიურ ორკესტრში 47 ათ. მანეთი. აგრეთვე დადგენილია, რომ სიმფონიურ ორკესტრში შეთავსებითი მუშაობს 21 პედაგოგი, რომელთაგან თვითეულს აქვს დატვირთვა 2-3 განაკვეთის ოდენობით, შეთავსება დაშვებულია თვით თბილისში მომუშავისთვისაც კი. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ არ არის დაწესებული კონტროლი სასელმწიფო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვაზე. ასეთ პირობებში აღნიშნული კოლექტივებისათვის დოტაციის გადიდების მოთხოვნა გაუმართლებელია.

რაც შეეხება ცხინვალის დრამატული თეატრისა და ანსამბლისათვის დოტაციის გადიდებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კოლექტივებისათვის დოტაცია გათვალისწინებულია 109 ათასი მანეთი, რაც ამ შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესების პირობებში, ვფიქრობთ, საკმარისი უნდა იყოს.

დეპუტატი ბესარიონ ყიფტი შეეხო ძეგლების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას, ამ საკითხზე შეჩერდა აგრეთვე დეპუტატი თაქთაქიშვილი. მოგახსენებთ, რომ ამ დანიშნულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა საფუძველზე ყოველწლიურად გამოიყოფა 500-500 ათასი მანეთი, ხშირ შემთხვევაში კი ბიუჯეტის ზევითაც. მაგალითად, 1968-1970 წლების, ე. ი. სამი წლის მანძილზე გამოყოფილ იქნა 1700 ათასი მანეთი.

1971 წელს საგეგმო საბიუჯეტო კომისიის წინადადებათა გათვალისწინებით ამ საქმეზე გამოყოფილია 500 ათასი მანეთი. ვფიქრობთ, რომ ამ სახსრების მიზანშეწონილად გამოყენების პირობებში ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს ჩვენი ისტორიული ძეგლების აღდგენისა და წესრიგში მოყვანისათვის.

სახმწინის თავმჯდომარემ ი. ცოცილაშვილმა საკითხი დააყენა ქალაქებსა და რაიონებში ინჟინერ-ინსპექტორების შტატის შემოღების და ამ მიზნით 60 საშტატო ერთეულის დამატების შესახებ. შტატის გადიდების საკითხი დააყენა აგრეთვე დეპუტატმა ჭუბაბრიამ გეგეჭკორის რაიონის სასოფლო საბჭოებისათვის.

მოგახსენებთ, რომ აპარატისა და მისი შესაბამისი სარჯების შემოღების შესახებ არსებულ სადირექტივო მითითებათა პირობებში აქვამად არ არის ამ თხოვნათა დაკმაყოფილების საშუალება. შეიძლება საკითხი დამატებით იქნას განხილული, თუ გამონახული იქნება ასეთი შესაძლებლობა.

კამათში გამოსული დეპუტატების მიერ წამოყენებული მოთხოვნები რესპუბლიკური სამინისტროების, ქალაქებისა და რაიონების სხვადასხვა საჭიროებისათვის მიმდინარე ხარჯებზე, აგრეთვე გეგმის ზევით ახალი ობიექტების — სკოლების, საავადმყოფოების, კულტურის სახლებისათვის დამატებით ასიგნობათა გამოყოფის შესახებ საგრძნობლად მსხვილ თანხებს საჭიროებს, რის სრულად დაკმაყოფილების საშუალება ამჟამად არ არის, რამდენადაც რესპუბლიკის ფინანსური და მატერიალური რესურსები მთლიანად განაწილებულია.

ამიტომ საჭირო იქნება გამოსულ დეპუტატთა წინადადებანი დამატებით შესწავლისათვის გადაეცეს სათანადო სამინისტროებს, საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს, რომელთა დასკვნების საფუძველზე მთავრობა მიიღებს სათანადო დადგენილებებს.

ამხანაგო დეპუტატებო! მიმდინარე სესიაზე რესპუბლიკის 1971 წლის ბიუჯეტის პროექტის ასეთი დეტალური განხილვა და მოწონება, რესპუბლიკის მშრომელთა დიდი შემართება 1971 საიუბილეო წლის გეგმების შესრულებისათვის იქნება იმის გარანტია, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტი წარმატებით შესრულდება და უზრუნველყოფილი იქნება გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება. (ტაში).

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა და თანამოხსენებების გამო

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების ალმასკომის თავმჯდომარის კ. კ. ჯიოევის სიტყვა

ჩემნი ოლქის სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით გაანაღდეს პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა. დაგალების გადაჭარბებით გამოშვებულია ოთხი მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ეს პირველ ყოვლისა, მიღწეულია საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებით და შინაგანი რეზერვების უფრო სრულად გამოყენების გზით.

მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შედეგად ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ ხუთწლედში სახელმწიფოს მიჰყიდეს ბევრად მეტი ხორცი, რძე, მატყლი, შაქრის ჭარხალი, ხილი და სხვა პროდუქტები, ვიდრე წინა ხუთწლეულში. მნიშვნელოვანი წარმატებებით მთავრდება მიმდინარე სამეურნეო წელიც.

ყოველწლიურად უმჯობესდება ოლქის მშრომელთა კეთილდღეობა. მერვე ხუთწლედის მანძილზე ოლქის ბიუჯეტი გაიზარდა 38 პროცენტით და მეტად.

მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად, როგორც ეს აღნიშნული იყო ე. მ. ჯაფარიძისა და ვ. ს. ტრაპაიძის მოხსენებებში, ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ოლქში არიან ისეთი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს, ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებსა და ძირითად ფონდებს. ცალკეული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ ასრულებენ სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ზოგიერთ ობიექტურ მიზეზს. ოლქის ადგილობრივი მრეწველობის ქონიერი ქარხანა შეფერხებებით მუშაობს. ამიტომ ჩვენი თხოვნაა უზრუნველყოფილ იქნეს ქარხანა საჭირო ნედლეულითა და მასალებით.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი გზების მოვლასა და შეკეთებას. ამ მიზნით ვთხოვ სესიას, რომ დამატებით გამოყოს 70 ათასი მანეთი.

ოლქის მთელ რიგ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და ჯანმრთელობის დაცვის ნაგებობებს ესაჭიროება რემონტი და რეკონსტრუქცია. ვთხოვ სესიას, რომ ამ საქმისათვის დამატებით გამოყოს 250 ათასი მანეთი. გთხოვთ სოფლის საბჭოების შენობათა რემონტისა და მშენებლობისათვის ოლქის ბიუჯეტში 1971 წლისათვის გითვალისწინოთ 100 ათასი მანეთი.

დეპუტატ გ. ხ. არზუმანიანის სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია აჯადოებს იმ წარმატებებს, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს ლენინის საიუბილეო წელს. ამ წარმატებებში ახალქალაქის რაიონის მშრომელებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, რძის, ხორცის, კვერცხის და სხვა პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები და ვალდებულებანი. წარმატებით შესრულდა ყველა სახეობის პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური გეგმები.

მინდა შევეხო ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხს. რაიონული ცენტრი ახალქალაქი სულ უფრო იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება. მაგრამ მთელი რიგი ქუჩები კვლავ ისე გამოიყურება, როგორც წინათ, — მოასფალტებულიც კი არ არის. ვთხოვ დღევანდელ სესიას ამ საქმისათვის დამატებით გამოგვიყოს 10 ათასი მანეთი.

სამი წლის წინათ ახალქალაქში დაიწყო 600—ადგილიანი კულტურის სახლის მშენებლობა. მისი მშენებლობა ჭიანურდება სახსრების სიმცირის გამო. ვთხოვ სესიას, რომ ახალ...ალის კულტურის სახლის მშენებლობა შეიტანოს სატატუტო სიაში და გადაიყვანოს სახელმწიფო დაფინანსებაზე.

სოფელი ბარალეთი ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელია. მაგრამ აქ სკოლა შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული. ვთხოვ სესიას, რომ გაითვალისწინოს ამ სოფელში ახალი სკოლის შენობის აგება.

რაიონის მშრომელები წარმატებით განაგრძობენ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებას. ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკ XXIV ყრილობას, რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენი სესიის მიერ დასახული გეგმები.

დეპუტატ ა. ი. შადურის სიტყვა

ისმ, როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, დუშეთის რაიონის მშრომელები ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით შრომობდნენ მიმდინარე საიუბილეო წელს. გადაჭარბებით შესრულდა თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის და წარმოების გეგმები. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის და ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. წარმატებით შესრულდა აგრეთვე საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმებიც. გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეებმა.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა დუშეთის რაიონის მოსახლეობის კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ახლა რაიონში ძალზე ცოტაა სოფლები, სადაც არ იყოს კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო მომსახურების კერები. მალე დამთავრდება სოფლების ელექტრიფიცირება, ბევრი გაკეთდა და კეთდება მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

შესაფიდვის ახალმა ფასებმა გააძლიერეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანაზერესება სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გაზრდით.

ყაზბეგის, თიანეთის, დუშეთის რაიონების კოლმეურნეობები დიდძალ პირუტყვს აბარებენ თბილისის ხორცკომბინატს. მცი გადარეკვის დროს, მითუმეტეს მშიერ ტრასაზე, პირუტყვი საგრძნობლად კლებულობს წონაში, ამის შედეგად დიდი რაოდენობით იკარგება ხორცი. ხომ არ შეიძლება დუშეთის რაიონში ან სხვაგან, სადაც უფრო მოსასვრსებელია, მოვწყოს ხორცის პირველადი გადამუშავება? ეს გარკვეულ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს! საჭირო იქნება ამ საკითხის შესწავლა და დადებითად გადაწყვეტა.

როდესაც მიწების მელიორაციაზე ელაპარაკობთ, არ შეიძლება გულისტკივილით არ აღენიშნოთ მჭადიჯვრის სარწყავ სისტემაზე შექმნილი მდგომარეობა, რომლის მშენებლობა 1967 წელს დაიწყო და დასასრულს უახლოვდება. სამწუხაროდ, სარწყავ სისტემას არ შეუძლია თავისი დანიშნულების შესრულება საკმარ

კამათი მოხსენებათა და თანამოხსენების გაგრ

(დასასრული)

ტიპები. მათი გამოყენება პერსპექტიულია მრავალი სახეობის წარმოებაში.

ახლა აკადემიის მეცნიერთა მუშაობის უმთავრესი ამოცანებია, მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლება, სამეცნიერო მუშაობაში თანამედროვე საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართო და დროულ დანერგვას, სახალხო მეურნეობაში გაფართოვების კომპლექსურ კვლევა-ძიებას,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, რათა ახალი წარმატებებით შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას და ღირსეული წვლილი შეიტანოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღნიშნაში.

დეპუტატ
ე. ი. რუფოვას
სიტყვა

ქალაქ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო ჩვენი ქვეყნის ელექტროტრანსპორტის ერთ-ერთი უძველესი საწარმოა. იგი ახლა აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებით.

ჩვენი კოლექტივი წლიდან წლამდე წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან ერთად იგი სისტემატურად ასრულებს დავალებებს რესპუბლიკის სატრანსპორტო მეურნეობის მშენებლობისა და განვითარების საქმეში. ჩვენი კოლექტივის ძალებით აშენდა ტროლეიბუსის მეურნეობანი სოხუმში, ჭიათურაში, აგრეთვე მომზე სომხეთის ქალაქ ლენინაკანში. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად ჩვენმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ქალაქ რუსთავში 18 კილომეტრზე გაიყვანოს ტროლეიბუსის ხაზი.

თბილისის მოსახლეობის მომსახურების გაუჯობესების მიზნით ამ ხუთწლედში გავიყვანეთ ტრამვაის ხაზი აეროპლანის ქუჩიდან თბილისის ზღვამდე, აგრეთვე ტროლეიბუსის ხაზები კანდელაკისა და გორგასლის ქუჩებზე. ახლა გაგვაკეთ ტრამვაის ხაზი ლოტკინის გორაზე, რომლის სიგრძე 7,2 კილომეტრი იქნება.

ამასთან ერთად მინდა აღვნიშნო, რომ საქალაქო ტრანსპორტის მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მაგალითად, ძალიან მძიმე მდგომარეობაა ეგრეთწოდებული პიკ საათებში. რა არის ამის მიზეზი? ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით სხვადასხვა საწარმოებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში მუშაობა და სწავლა უნდა იწყებოდეს სხვადასხვა საათებში. მაგრამ, შემუხარდა, ამ გადაწყვეტილებას ყველგან როდი ასრულებენ. არის შემთხვევა, რომ ხაზზე ტრამვაი ან ტროლეიბუსი უწესივრო მდგომარეობაში გამოდის.

დეპუტატ
ვ. გ. მამათელაშვილის
სიტყვა

მინდა დეპუტატთა ყურადღება შევაჩერო ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. ეს გახლავთ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი.

ამ დარგში კვლავაც ბევრი რამ არის მოსაგვარებელი და გასაკეთებელი. ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია, დაკმაყოფილდეს მოთხოვნილება ამ მიზნით დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ.

ორი ხუთწლედის მიჯნაზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის დიდი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ხაზით.

მარტო საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სასწავლო კორპუსებისა და ახალი სასწავლო ბაზის მოწყობაზე კრწანისში, დაიხარჯა 5 მილიონამდე მანეთი.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია რესპუბლიკაში, რომელიც ამზადებს სწავლულ ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარ ექიმებს. სასწავლო ინსტიტუტთან მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შეერთებით, როგორც თქვენთვის ცნობილია, შეიქმნა ახალი სახის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი. ეს სიახლე და თავისებურება იმით გამოიხატა, რომ კონცენტრირებულ იქნა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ინსტიტუტი გახდა რესპუბლიკაში ამ პროფილის მეცნიერებათა საკვლევი ცენტრი.

ინსტიტუტის მუშაობა შეიძლებოდა უფრო ეფექტიანი და შედეგიანი ყოფილიყო, რომ ზოგიერთი დაბრკოლება არ გვეღობებოდეს წინ. მე მხედველობაში მაქვს ინსტიტუტის სასწავლო კორპუსების მშენებლობის გაჭიანურება კრწანისში. მისი მშენებლობა დაიწყო 1960 წლის და დაიმსაც, 10 წლის შემდეგ, არ უჩანს ბოლო. ვთხოვთ საქართველოს სს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მიიღოს ქმედითი ზომები მშენებლობის დროზე დასამთავრებლად.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ამ სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი მტკიცედ და განუხრელად უნდა შევასრულოთ მატერიალური წარმოებისა და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში, რომ ღირსეული მაჩვენებლებით შეგვგებოთ დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲛᲔ-3 ᲒᲕᲠᲓᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ,
25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1970 Წ.

დეპუტატ
ო. ბ. საბაშვილის
სიტყვა

პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს საგარეჯოს რაიონის მშრომელებმა, გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლედის დავალებანი — მარცვლეულის, ყურძნის, რძის, კვერცხის, ბატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადებაში.

პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი დავალებები წარმატებით შესრულეს აგრეთვე რაიონის სამრეწველო საწარმოებმა.

რაიონი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, ბიუჯეტის ნაჭარბი თანხა ხმარდება როგორც რაიონის ცენტრის, ასევე სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოებს. ბოლო - წლებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა. აშენდა კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების შენობები. საგარეჯოში მოეწყო კანალიზაცია, მიეყვანეთ ბუნებრივი გაზი, რაც კარგი საჩუქარია ჩვენი მშრომელებისათვის. საგარეჯოში აშენდა ჰიგიენის სახლი, რომელსაც აქვს სალონები მოსახლეობის ყველა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. აშენდა ქორწინების სახლი, სასტუმრო, საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის ობიექტები.

რაიონის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უკეთ წარმართვისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მიზნით, ნება მიბოძეთ სესიის წინაშე დავაყენო რამდენიმე საკითხი: რაიონის ცენტრში ამჟამად მოსახლეობას ემსახურება 1929 წელს აშენებული საავადმყოფო 50 საწოლით. ამავე შენობაშია მოთავსებული სამშობიარო, ტუბდისპანსერი, პოლიკლინიკა და სხვ. საავადმყოფოს შენობა მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საგარეჯოში 1970 წელს უნდა დაწყებულიყო 240 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა. მაგრამ იმის გამო, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სათანადოდ არ დაინტერესდა ამ საკითხით, სამი წელია საქმე ადგილიდან არ იძვრის.

საგარეჯოს კულტურის სახლის მაგიერობას ამჟამად სწევს 1913 წელს რკინიგზელთათვის აშენებული საავადმყოფოს შენობა, რომელიც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებას. 1969 წელს საგარეჯოში დაიწყო კულტურის სახლის მშენებლობა რაიონის ჭარბი თანხებით, ხოლო კულტურის სამინისტროს შემდგომი მშენებლობა უნდა დაიფინანსებინა, რაც დღემდე არ შესრულებულა.

მიმდინარე წელს რაიონში სერიოზული სიძნელეები შეიქმნა ღვინის ქარხნების მცირე მოცულობის გამო ყურძნის მიღება-გადამუშავების საქმეში, რის გამოც 3 ათას ტონამდე ყურძენი გავიტანეთ ჯახაის, გურჯაანის და სიღნაღის რაიონებში. ამან გამოიწვია რთველის გაჭიანურება და დანაკარგები.

იმასთან დაკავშირებით, რომ რაიონში მკვეთრად იზრდება სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა, საჭიროა სამკურნალო მიყიდვა, საჭიროა სამკურნალო დაარჩაროს მანავის ღვინის ქარხნის მშენებლობა, რომელიც რამდენიმე წელია შენდება შეუუნარებლად ნელი ტემპით.

დეპუტატ
ვ. დ. მანძულაშვილის
სიტყვა

რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებულ საერთო წარმატებებში გარკვეული წვლილი შეიტანეს ქალაქ რაიონის მშრომელებმაც. საუკეთესო შრომითი მაჩვენებლები აქვთ მოპოვებული მიმდინარე 1970 წელს კასპის ცემენტის ქარხანას, ქარხანა „კასპიელექტროაპარატს", მეტეხის საშენ მასალათა კომბინატს, საკონსერვო ქარხანას, ხილკენკროვანი ნვენების ქარხანას და სხვა მრავალს. ასევე გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებსაც, რომლებმაც ადადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის ცალკეულ სახეობათა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივს, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, ნათლად ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის აშენილ შენებლობის პერიოდში საშენი მასალების წარმოებას, და ამიტომ, დადგა რა წინასაყრილობო შრომით ვასტაზე, წარმატებით ანადგურებს ნაკისრ ვალდებულებებს. 1970 წლის 11 თვეში გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია 10.000 ტონა ცემენტი, 1.100 ათასი პირობითი ფილა შიფერი და 3.400 კუბური მეტრი წყრილი საკედლე ბლოკი. დიდი გადაჭარბებითაა შესრულებული საერთო პროდუქციისა და რეალიზაციის მოცულობის გეგმები, ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, ამაღლდა მისი ხარისხი.

უკანასკნელ წლებში კასპში სწრაფად ვითარდება მრეწველობა, შენდება ახალი საწარმოები და უნებები.

მე ვთხოვ სესიას, რომ დაავალოს სათანადო ორგანოებს, რათა დროულად გადაწყვეტს ქალაქის მომავალი განაშენიანების გენერალური გეგმის დამტკიცების საკითხი და დაჩქარდეს ცემენტის ქარხანაში დაწყებული მტვერდამჭერი ფილტრების მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ქალაქის ტერიტორიის დამტვერიანებას.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ქალაქ კასპში გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებანი ქალაქის კეთილმოწყობის, სანიაო მშენებლობის, წყალსადენისა და სანაკალიზაციო ქსელის მოწესრიგების უზრუნველსაყოფად, ეს საკითხები ჯერჯერობით სრულყოფილად მაინც არ არის გადაჭრილი იმის გამო, რომ ქალაქის კეთილმოწყობისა და სხვა საჭიროებისათვის დღემდე ძალზე მცირე ასიგნებანი იყო გამოყოფილი.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 1971 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებანი ჩვენი რაიონისა და კერძოდ კი ქალაქ კასპის მომავალი კეთილმოწყობისათვის საკმარისი არ არის და ამიტომ ვთხოვ უმაღლესი საბჭოს დღეგანდელ სესიას, დამატებით გამოგვეყოს 100 ათასი მანეთი.

დეპუტატ
ბ. დ. ულენტის
სიტყვა

მთელი ქართველი ხალხი უმაგალითო შრომითი ენთუზიაზმით ემზადება სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

როგორც ყოველთვის და ყველაფერში, ამჟამადაც ქართველი ინტელიგენცია, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი, მწერლობა დიდ შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწევიან, რათა მაღალმხატვრული სახეებით უკვდავყონ ჩვენი დიადი ეპოქა, შექმნან ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც შეალენ თანამედროვე საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში.

ნახევარი საუკუნეა რაც ქართული საბჭოთა მწერლობა ხალხთან, ჩვენს ქვეყანასთან, პარტიასთან ერთად იბრძვის და იღვწის ახალი წარმატებებისათვის. ახლა, როცა ჩვენ რესპუბლიკის იუბილეს ვუახლოვდებით, ქართული მწერლობა დაუცხრომელი შრომით არის გართული. ლენინის საიუბილეო წელს გამოქვეყნდა ახალი რომანები, ახალი პოემების ციკლები, ლექსები, დრამატიული ნაწარმოებნი, ისინი ეძღვნება ჩვენს მომავალ დიდ დღესასწაულს, ასახავს ჩვენი ხალხის მდიდარ სულიერ სამყაროს.

ჩვენთვის ახლა მთავარი პრობლემაა უფრო ღრმად, მთავრნეზულად ავასახოთ ჩვენი სინამდვილე, თანამედროვეობის კეთილშობილი სახე.

მინდა შევახო რამდენიმე მტკივნეული საკითხს.

მტკივნეულად ითვლება ჩვენი საგამომცემლო საქმისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მდგომარეობა. ამ მრეწველობის ახლანდელი დონე ზღუდავს და განსაზღვრავს საგამომცემლო საქმეს, ხოლო მოწესრიგებული საგამომცემლო საქმის გარეშე შეუძლებელია მწერლობის განვითარება.

უნდა აღვნიშნოთ პოლიგრაფიული ბაზებისათვის საჭირო კვალიფიციური მუშაობელი. ამისათვის უნდა გავხსნათ პოლიგრაფიული სკოლები, კარგად მოწყობილი საერთო საცხოვრებელი სახლებით. თვითეული რაიონიდან რომ ათი ახალგაზრდა ჩამოვიდეს ამ სკოლებში სასწავლებლად, ჩვენს რესპუბლიკას ექნება შესაძლებლობა გაზარდოს თავისი პოლიგრაფიული ბაზა, უზრუნველყოს იგი მაღალი კვალიფიკაციის ხელმოსილ მუშებით.

კიდევ ერთი საკითხი. ჩვენ, მწერალთა კავშირს გვქონდა პატარა გამომცემლობა. იგი ჩამოართვეს მწერალთა კავშირს და გადასცეს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს. ვთხოვ საქართველოს მთავრობას, რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობას თუ საახალწლოდ არა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლის იუბილეზე მაინც გვგვიკეთოს საჩუქარი და დაგვიბრუნოს მწერალთა კავშირს ეს გამომცემლობა.

როგორც მოგეხსენებათ, დიდი ზეიმით გადავიხადეთ უკვდავი რუსთაველის 800 წლისთავი, მას შემდეგ გავიდა 5 წელიწადი, ჩვენ კი ვერ იქნა და ვერ მოვახერხეთ საიუბილეო მასალის ბამოცემა. გარდა ამისა, ვერ მივაღწიეთ ამ ხნის განმავლობაში, რომ ერთი რუსთაველის სახლი აგვეშენებინა, სახლი, სადაც მოხერხდებოდა თავი მოგვეყარა რუსთაველის ეპოქის ყველა მასალებისათვის, მოგვეწყო გამოფენა.

დეპუტატ
თ. ნ. დავითაშვილის
სიტყვა

ავტოტრანსპორტის მუშაკებს ძალიან გვახარებს, რომ რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებში ჩვენი წვლილიც შევიტანეთ.

მათ ღირსეულად შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის დავალებანი.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დიდი ნახტომი გააკეთა წინ თავისი განვითარების გზაზე, როდესაც მას დიდი რაოდენობის სატვირთო ავტოპარკი გადაეცა, და ნაყოფიც მალე ვიხილეთ. გაიზარდა მსხვილ ავტომეურნეობათა რიცხვი, მნიშვნელოვნად შემცირდა წვრილ, არარენტაბელურ ავტომეურნეობათა რაოდენობა, გაუჯობესდა ავტომობილების ექსპლოატაციის მეთოდები. გაერთიანების შემდეგ რესპუბლიკის სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამომუშავება 20 პროცენტით გაიზარდა, ეს კი ნიშნავს, რომ არსებული ავტოპარკით ბეგმის გადამეტებით გადატანილ იქნა 10 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან ერთად შეუდგა ტვირთის გადაზიდვის სრულ ცენტრალიზაციას თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სამტრედიის, ცხაკაიასა და სხვა რკინიგზის სადგურებიდან.

საავტომობილო ტრანსპორტის ერთ სისტემაში გაერთიანება საშუალებას გვაძლევს ბოლო მოვუღოთ პარალელიზმს ტრანსპორტის მუშაობაში, გავადიდოთ ავტომობილების გარბენისა და ტვირთამფლობის კოეფიციენტები.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გარეშეა და ტვირთამფლობა მხოლოდ 1 პროცენტით რომ გავადიდოთ, წელიწადში დამატებით გადავზიდავთ ნახევარ მილიონ ტონა ტვირთს.

ჩვენს სამინისტროში ბევრი საჩივარი მოდის ელმავალმშენებელთა დასახლების მიკრორაიონისა და ვარკეთილის მასივის ზედა პლატოს მცხოვრებლებისაგან, რომლებიც გვიჩივლეს, რომ ვერ უზრუნველყოფთ მათ სატრანსპორტო მომსახურებით.

ჩვენი აზრით არასწორად უნდა ჩაითვალოს არსებული პრაქტიკა, როცა მსხვილ საცხოვრებელ რაიონებში თითო ავტოსატრანსპორტო საწარმოს შექმნაც კი არ არის გათვალისწინებული. უფრო მეტიც, 100-ათას მცხოვრებიან ქალაქ რუსთავს დღემდე იძულებული ვართ მომსახურება გავუწიოთ დროებითი სატრანსპორტო საწარმოებით.

ავტოსატრანსპორტო შემთხვევებთან დაკავშირებით მე მინდა ჩვენგან დამოუკიდებელ ზოგიერთ მიზეზზე შევჩერდე, რომლებიც საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების საშიშროებას ქმნიან. პირველ რიგში ეს შეეხება საავტომობილო გზებს. უნდა ითქვას, რომ ბევრი გზა და, განსაკუთრებით, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები არ შეესაბამებიან მოძრაობის უსაფრთხოების ელემენტარულ პირობებსაც კი. ეს გვაიძულებს შევაყვანეთ ზოგიერთი რაიონის მთელი რიგი სოფლებისა და დასახლებული პუნქტების სატრანსპორტო მომსახურება.

ამისათვის, რომ გაფართოვდეს საგზაო გადაზიდვების მოცულობა, მაქსიმალურად უზრუნველყოთ მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტზე მოთხოვნა და ამასთან ტრანსპორტის უსაფრთხო მუშაობა, რაიონების ხელმძღვანელმა ორგანიზებამ უნდა მიიღონ ყველა ზომები იმისათვის, რომ გზები წესრიგში მოიყვანონ.

დეპუტატ
ო. ვ. თაქთაქიშვილის
სიტყვა

ამჟამად საქართველოში ოთხი ათასზე მეტი მასობრივი ბიბლიოთეკა, 1.900 საკლუბო დაწესებულება და 68 მუზეუმია, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არის სოფლები და დასახლებული პუნქტები, სადაც არ არის არც ბიბლიოთეკა და არც კლუბი. მრავალი ბიბლიოთეკა დღესაც კერძო ბინაშია მოთავსებული. ზოგიერთ რაიონულ ცენტრში კულტურის სახლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია.

კაპიტალური დაბანდება, რომელიც ყოველწლიურად გამოიყოფა კულტურის ობიექტების მშენებლობისათვის, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

არსებობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლის საფუძველზეც თეატრებისა და მუსიკალური კოლექტივებისათვის საჭირო დოტაციის განსაზღვრა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების კომპეტენციაში შედის. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტში ამ დოტაციის მოცულობა ისეთი ოდენობით უნდა იქნას გათვალისწინებული, რამდენსაც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მიიჩნევს საჭიროდ.

ამ ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი თეატრალური და მუსიკალური კოლექტივები — ჩამოყალიბდა ახალი დრამატული თეატრები ახალციხესა და რუსთავში, ქუთაისში გაიხსნა ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალი, სოხუმში სიმფონიური ორკესტრი და კაპელა, თბილისში კამერული და ხალხური საკრავების ორკესტრები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლის რიცხობრივი შემადგენლობა.

ბევრი თეატრი გადაყვანილია დაბალ კატეგორიიდან მაღალ კატეგორიაში, მრავალ მსახიობს და შემსრულებელს ტარიფიკაციის შედეგად კატეგორია მოემატა. ყველაფერმა ამან, რა თქმა უნდა, დოტაციის ზრდა გამოიწვია, რაც დღევანდელ სესიაზე დასამტკიცებელად წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული არ არის.

ჩვენი თხოვნაა თეატრებისა და მუსიკალური კოლექტივებისათვის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული სახელმწიფო დოტაცია გაიზარდოს 1.117 ათასი მანეთით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებითა და დიდი მზრუნველობით ეკიდებიან ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში უმაღლესი საბჭოს სესიებზე ბიუჯეტის განხილვის დროს მნიშვნელოვანი თანხები გამოიყოფა ხოლმე კულტურის ძეგლების შეკეთება-რესტავრაციისათვის.

ეგეთსენებათ, რომ საქართველოში 5 ათასზე მეტი რეგისტრირებული კულტურის ძეგლია. ისიც მოგეხსენებათ, რომ მათი დიდი უმრავლესობა 5, 10 და 15 საუკუნისაა. ამ ძეგლების შესწავლა, აღდგენა და გამაგრება რთული და სერიოზული საქმეა. ამ საქმეს დიდი ფულადი სახსრები და ტექნიკურად გამართული მატერიალური ბაზა სჭირდება. ჩვენი თხოვნაა, ქართული კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული თანხის დამატებით გამოეყოს 600 ათასი მანეთი და 200 ათასი მანეთი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ეთნოგრაფიისათვის.

დაბოლოს, კიდევ ერთი თხოვნა. იმასთან დაკავშირებით, რომ კაპიტალურ დაბანდებათა სიმცირის გამო ვერ ვახერხებთ ახალი ობიექტების მშენებლობას, ჩვენი ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საშუალო სპეციალური სასწავლებლები ხშირად მოთავსებულია ძველ და ავარიულ შენობაში. ამ შენობების კაპიტალური რემონტისათვის საკმარისი არ არის ის თანხა, რაც ამორტიზაციის არსებული ნორმებით გამოიყოფა. განსაკუთრებით ცუდ, მე ვიტყოდი ავარიულ მდგომარეობაშია სამინისტროს შენობაც. ვთხოვთ საბიუჯეტო ორგანიზაციების შენობების კაპიტალური შეკეთებისათვის პროექტით გათვალისწინებული თანხა გაგვიზარდოთ 3.000 ათასი მანეთით, და ეს თანხა მოგვეცეთ რესპუბლიკური ბიუჯეტით, რათა შესაძლებლობა გვქონდეს უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ, გარდა ამისა, ვთხოვთ გამოგვიყოთ სამინისტროს შენობის რემონტისათვის 80 ათასი მანეთი.

დეპუტატ
გ. ლ. ჯუბაბრიას
სიტყვა

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ რაიონის მეჩაიეთა სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა 114,8 პროცენტით შესრულდა. სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ჩავაბარეთ 400 ტონა სიმინდის მარცვალი.

წარმატებები გვაქვს სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეშიც.

ჩვენი რესპუბლიკის 1971 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც შედგენილია სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად, მიზნად ისახავს საჭირო სახსრებით უზრუნველყოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და მშრომელი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება.

გეგეჭკორის რაიონის 1971 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც გათვალისწინებულია შემოსავლის და გასავლის ნაწილში 4.339 ათასი მანეთით, ძირითადად შეესაბამება სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მაგრამ მე სესიის წინაშე მინდა დავაყენო ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი რაიონის მშრომელთა მოსახლეობის მოთხოვნილებებთან.

ცუდ მდგომარეობაშია რაიონის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შენობა-ნაგებობანი. 15 წელია რაიონისათვის არ ყოფილა ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები ჯანმრთელობის ობიექტების კაპიტალ-დაბანდებისათვის. მიმდინარე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო რაისაავადმყოფოს გაფართოება, რაც ამოღებულ იქნა გეგმიდან და ის 1971 წლის სახალხო სამეურნეო გეგმით და ბიუჯეტით არაა გათვალისწინებული. ვთხოვ სესიას გამონახოს საშუალებანი, რათა მომავალ წელს გადაწყდეს ეს საკითხი.

რაისაბჭოს აღმასკომმა უკანასკნელ წლებში მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა და გეგეჭკორის კეთილმოწყობისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ გაძნელებულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი კანალიზაციის ქსელი. ვთხოვ სესიას დაბა გეგეჭკორის კანალიზაციის ქსელის სამუშაოების დაწყება გაითვალისწინოს 1971 წლის გეგმით და ბიუჯეტით.

რაიონის ცენტრის საბინაო მეურნეობა მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მშენებლობა ამ მხრივ არ ყოფილა გათვალისწინებული. მომავალი წლის გეგმით ნაგარაჯეთვა 36-ბინიანი სახლის მშენებლობის დაწყება. ვთხოვ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოს ამ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრება 1971 წელს.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეცა სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუჯობესების საკითხებს, მაგრამ სასოფლო და სადაბო საბჭოების აპარატი არაა დაკომპლექტებული იმ საშტატო ერთეულებით, რაც გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილებით. რატომღაც 1971 წლის ბიუჯეტით ხსენებული არც ერთი საშტატო ერთეულის მატება არაა გათვალისწინებული. ვთხოვ სესიას შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვიტოს საშტატო ერთეულთა დამატების საკითხი.

საქართველოს სსრ
სახმშენის თავმჯდომარის
ი. ნ. ციციშვილის
სიტყვა

1970 წელს საქართველოს მთავრობამ დაგვიმტკიცა ქალაქ თბილისის განვითარების გენერალური გეგმა მომავალი 30 წლის მანძილზე და უნდა ითქვას, რომ გენერალური გეგმა შესრულებულია მაღალ დონეზე. ამას წინათ დამტკიცდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპლექსური გეგმა. დიდი სამუშაოებია ჩატარებული დაგეგმარების მხრივ, ამასთანავე გვაქვს ბევრი სერიოზული ნაკლი, რომელთა გამოსწორება ჩვენი მოვალეობაა.

პირველ რიგში ეს ეხება საბინაო მშენებლობას. მართალია, ტიპიური პროექტებით განხორციელებულმა საცხოვრებელმა რაიონებმა თბილისსა და სხვა ქალაქებში გარკვეულად შეასრულეს თავისი როლი, მრავალმა ჩვენმა მოქალაქემ მიიღო ბინა. მაგრამ დრო მიდის წინ და დღეს ეს ბინები აღარ გვაკმაყოფილებს.

ვალდებულად ვთვლი მოვახსენო დეპუტატებს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ძველ ტიპობრივ მშენებლობაზე, რომ დღეს უკვე წარმოებს ახალი დანგეგმარება. ჩვენი დამგეგმარებლები მუშაობენ მომავლის სახლებზე, სადაც იქნება ყველა პირობა ადამიანთა ცხოვრებისათვის.

უნდა მოგახსენოთ, რომ გარდა შინაგანი მოწყობილობისა, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სახლების გარეგან მხარესაც. ჩვენი სახლები გარეგნულად ძალიან დაუნაზეზეულია, მათი მშენებლობის პრინციპები მეთოდოლოგიურად არ იყო სწორი. მაგრამ ახლა ტიპობრივ პროექტებში დაშვებული მეთოდოლოგიური შეცდომები უკვე გამოსწორებულია.

ჩვენი ქარხნები დაამზადებენ ისეთ დეტალებს, ნაკეთობებს, ისეთ ელემენტებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მრავალი ვარიაციები შევქმნათ სახლების მშენებლობის დროს, ასეთი სახლები გაალამაზებენ ჩვენს ქალაქს.

აქვე უნდა მოგახსენოთ მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო მძლავრი მატერიალური ბაზის შექმნის ამბავი. ამჟამად დამუშავებულია ჩვენი სამშენებლო ქარხნების, სახლთსაშენებელი კომბინატების სპეციალიზაციისა და კოოპერირების პროგრამა, რომელმაც 2-3 წელიწადში უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის მშენებლობის განვითარება.

ამის გარდა მომავალი წლიდან საჭიროა აიგოს, ალუმინის, ხის ნაგეთობათა, რკინა-კაკვეულის, ხელოვნური ფენების ქარხნები. ჩვენ დიდ პრეტენზიებს ვუყენებთ საშენი მასალების მრეწველობას. ჩვენ გვჭირდება ბევრი და იაფი მასალები, რომლის გარეშე ბრაფრის კეთება არ შეიძლება.

ჩვენი მშენებლობა გეგმებს ვერ შეასრულებს, თუ მშენებლობის ხარისხი არ იქნება მაღალ დონეზე. ამისათვის კი საჭიროა კვალიფიკაციური მუშები. ეს კადრები უნდა მომზადდეს პროფტექნიკურ საგანგებლებში.

მშენებლობა დღითი დღე რთულდება. აქამდე მეტად თავისუფლად ვიქცეოდით ტერიტორიების ათვისების მხრივ. თავის დროზე უყაირათოდ გავიცით ბაკისა და საბურთალოს მიწები, სადაც ააშენეს დაბალსართულიანი ინდივიდუალური სახლები.

ჩვენ უნდა გადავიდეთ მიწის დაცვაზე, ხოლო ყველა მშენებლობა, ყველა დაგეგმარება უნდა ეკუთვნოდეს ერთ ადგილზე. ამას ეწინააღმდეგება ბინა ადგილ-მფლობელ ოჯახში მომუშავე ათიოდე მეცნიერი თანამშრომლით და საკმაოდ ღარიბი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით დაიწყო. ე. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით ეს ინსტიტუტი გ

მსოფლიო დღეს

დაზარალებულთა დასახმარებლად

დაკა. (საკადესი). სამი საბჭოთა „მი-8“ ვერტმფრინავი ახლა ძირითადი სატრანსპორტო საშუალებაა, რომლებსაც აღმოსავლეთ პაკისტანის — სტიქიური უბედურებით დაზარალებული რაიონის მოსახლეობისათვის ტვირთი გადაქვს.

საბჭოთა ვერტმფრინავებმა უკვე მიაწოდეს ციკლონისაგან დაზარალებულ რაიონებს დაახლოებით 30.000 კილოგრამი სხვადასხვა ტვირთი.

რევოლუციური საბჭოს ბრძანებულება

ტრიპოლი, 24 დეკემბერი. (საკადესი). ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციურმა საბჭომ გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც უცხოელთა კაპიტალი ბანკებსა და სავაჭრო კომპანიებში ნაციონალიზებული ხდება და გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში ყველა აქცია, რომლებიც ლიბიის მოქალაქეებს არ ეკუთვნით, სახელმწიფო საკუთრება ხდება. ამ აქციების მფლობელთ უხდიან კომპენსაციას.

ანალოგიური ღონისძიებანი განხორციელდა სადაზღვევო კომპანიებისა და შორეული კაპიტალის მქონე საზოგადოების მიმართ. ამ კომპანიების ადმინისტრაციული საბჭოებისა და საკონტროლო კომისიების წევრთა უმრავლესობას, მათ შორის საბჭოების დირექტორებსა და კომისიების თავმჯდომარეებს, მთავრობა დანიშნავს.

რევოლუციური საბჭოს ბრძანებულება აქ მიაჩნიათ ლიბიის იმ კურსის განგრძობად, რომ გაათავისუფლოს ეროვნული ეკონომიკა უცხოელთა გავლენისაგან.

გამოააშკარავეს შეთქმულება

ნიუ-იორკი. 24 დეკემბერი. (საკადესი). ბოლივიაში გამოააშკარავეს შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა პრეზიდენტ ხუან ხოსე ტორესის მოკვლას, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლა-პასიდან. პრეზიდენტის სიცოცხლის ხელყოფის მომზადებაში, განაცხადა პრეზიდენტის სასახლის დაცვის უფროსმა მაიორმა სიმონ სეხასმა, მონაწილეობენ „უკიდურესად მემარჯვენე პარტიები“. გაძლიერდა ღონისძიებანი ტორესის უშიშროების უზრუნველსაყოფად.

კანონპროექტი მოიწონეს

ვაშინგტონი. 24 დეკემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა გუშინ მოიწონა და ხელმოსაწერად გადასცა პრეზიდენტს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც უცხოელთა კაპიტალი ბანკებსა და სავაჭრო კომპანიებში ნაციონალიზებული ხდება და გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში ყველა აქცია, რომლებიც ლიბიის მოქალაქეებს არ ეკუთვნით, სახელმწიფო საკუთრება ხდება. ამ ხელდრო „დახმარების“ გასაწევად, რომლის მეშვეობითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი აქვს ინდოჩინეთის აგრესიაში ჩითრიოს ეს ქვეყანა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო კონფლიქტის გაფართოების მოწინააღმდეგე საოდ მოაზროვნე. კანონმდებელთა ნაწილობრივი წარმატებაა ის, რომ კანონპროექტში შეიტანეს დებულება, რომელიც კრძალავს ამერიკის სახმელეთო ჯარებისა და „მრჩევლების“ გამოყენებას კამბოჯაში.

ა. დევისის „საქმის“ მოსმენა გაიმართა

ნიუ-იორკი. 24 დეკემბერი. (საკადესი). **გუშინ კალიფორნიის ქალაქ სანტა-ფეიელში გაიმართა ადგილობრივი სასამართლოს პირველი სხდომა, რომელიც არჩევს ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის „საქმეს“.**

როგორც ცნობილია, ანჯელა დევისი, რომლის წინააღმდეგ შეთითხნეს ბრალდება „მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ“, უაღრესად საიდუმლოდ ჩაიყვანეს გუშინ კალიფორნიაში ნიუ-იორკიდან, სადაც საპყრობილეში იყო დაპატიმრების დღიდან — 13 ოქტომბრიდან.

დევისის დამცველთა თხოვნით „ბრალდების“ გამო საქმის გარჩევა გადაიდო მომავალი წლის 5 იანვრამდე.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი

რამდენიმე დღეა თბილისში მიმდინარეობს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი. იგი ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

პლენუმი გაიხსნა 21 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში. კონცერტზე შესრულდა კომპოზიტორ ფ. დოლონტის სიმფონია. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ზ. ხუროძემ.

პლენუმზე შესრულდა საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ო. თაქთაქიშვილის ახალი ორატორია, რომელსაც თვით ავტორმა უდირიჟორა, ხუთნაწილიანი ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ შექმნილია დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ლექსების მიხედვით. ორატორია შეასრულეს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტმა, საქართველოს სახელმწიფო კაპელამ (მხატვრული ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბაქრაძე), ოპერალურმა ანსამბლმა „ბორდულამ“, სოლისტებმა — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ და თ. ქეფხიშვილმა.

პლენუმზე მოისმინეს ქართველი კომპოზიტორების კამერული ნაწარმოებები, როიალთან ერთად სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ბალანჩივაძე, შესრულდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ს. ნასიძის კამერული სიმფონია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების კომპოზიტორების მ. დავითაშვილისა და ა. ბასკაკოვის სიმღერები და რომანსები.

გუშინ პლენუმმა გადაინაცვლა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში, სადაც იდგმებოდა ბ. კვერნაძის ოპერეტა „ცოლები და ქმრები“.

პლენუმი, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები, მუშაობას დაამთავრებს 26 დეკემბერს, მონაწილენი მოისმენენ მოხსენებას თანამედროვე ქართული მუსიკის შესახებ და განიხილავენ მოსმენილ ნაწარმოებებს.

თვალადის ფვილი

გიორგი შატბერაშვილის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავი საღამო კასპში

კასპი. (საკ. კორ.). ამდენი პოეტი და მწერალი კარგა ხანია არ სწვევია კასპის რაიონს. ისინი აქ მოვიდნენ, რომ პატივი ეცათ გამოჩენილი ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის ხსოვნისათვის. კასპის კულტურის სახლში მწერლის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გახსნა კასპის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ გ. გოგიაშვილმა. გ. შატბერაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკეს საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ, კრიტიკოსმა ბ. ელენტმა, პოეტმა ა. გომიაშვილმა, მწერალმა გ. ციციშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. ტატიშვილმა, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გ. ხორგუაშვილმა, კრიტიკოსმა ჯ. ბაიაძემ და სხვ. კასპელმა მოხუცებმა წაიკითხეს გ. შატბერაშვილის ლექსები.

შემდეგ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. მახვილაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა — სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ა. ომიაძემ და რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ტ. საყვარელიძემ ლიტერატურული საღამოს მონაწილეებს უჩვენეს ნაწყვეტი გ. შატბერაშვილის პიესიდან „მკვდრის მზე“.

ამავე დღეს სტუმრები, რაიონის პარტიული, საბჭოთა ხელმძღვანელი ამხანაგები ეწვივნენ გ. შატბერაშვილის მშობლიურ სოფელს თვალადს.

ა. ცხაკაია



გარდაიცვალა ცნობილი საბჭოთა სეისმოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონალური სეისმოლოგიის განყოფილების გამგე, საბჭოთა კავშირის სეისმურ დაკვირვებათა სისტემის კავკასიის ზონალური ცენტრის უფროსი ალექსანდრე დავითის-ძე ცხაკაია.

ალექსანდრე ცხაკაია საბჭოთა მეცნიერის, მოქალაქის და პატრიოტის საპატიო გზა განვლო. ორმოცდასამი წლის განძილზე იგი ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. ათეული წლების განმავლობაში ცდილობდა ჩასწვდომოდა ბუნების მრისხანე მოვლენის — მიწისძვრის არსს, რათა შეეტანა თავისი წვლილი მისი მავნე შედეგების თავიდან აცილების საქმეში.

ა. ცხაკაია დაიბადა 1902 წლის 22 ოქტომბერს სოფელ კოკში (ზუგდიდის რაიონი). დაწყებითი განათლება იქვე მიიღო, ხოლო 1922 წელს დაამთავრა ქუთაისის ყოფილი კლასიკური გიმნაზია. 1923 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1927 წელს დამთავრა და მუშაობა დაიწყო საქართველოს ყოფილი გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმურ განყოფილებაში. 1931 წლიდან ა. ცხაკაია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტია, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1933 წელს, მუშაობა დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების გეოფიზიკურ ინსტიტუტში. ეს ინსტიტუტი იმავე წელს დაარსდა. ა. ცხაკაიამ მის დაარსებაში დიდი როლი შეასრულა. მას შემდეგ იგი უცვლელად მუშაობს ამ ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე — ჯერ სპეციალისტად, შემდეგ ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ბოლოს ინსტიტუტის რეგიონალური სეისმოლოგიის განყოფილების გამგედ, სადაც მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი აღიზარდა.

ა. ცხაკაიამ პედაგოგიური მუშაობის ხანგრძლივი გზაც განვლო. ჯერ სამუშაო სასწავლებელში, ხოლო 1939 წლიდან საქართველოს მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც იგი წლების მანძილზე განაგებდა ფიზიკის კათედრას, და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

როგორც სპეციალისტი — სეისმოლოგი ა. ცხაკაია ცნობილი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ის იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სეისმოლოგიის სექციის წევრი და ხელმძღვანელობდა სეისმურ დაკვირვებებს კავკასიის მასშტაბით. ის ავტორია 80-მდე სამეცნიერო შრომისა. მისი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე მუშაობს 16 კეთილმოწყობილი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სეისმური სადგური. მან, როგორც სეისმოლოგმა, განსაკუთრებული როლი შეასრულა ინგურჰესის კაშხალის მშენებლობის მაღალი ბალიანობის დადგენაში. მეცნიერებაში დიდი დამსახურებისათვის. ა. ცხაკაია დაჯილდოებული იყო ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენებით და მედლებით.

ა. ცხაკაია იყო დიდი ერუდიციის მქონე, უაღრესად კეთილშობილი, თავმდაბალი და პრინციპული პიროვნება. იგი დაუვიწყარი იქნება ყველასათვის, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების განყოფილება; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგის, ცნობილი სეისმოლოგის

ალექსანდრე დავითის-ძე ცხაკაიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეკორდების სიუხვე

ქალოსანთა ახალი ასპარეზობა დნეპროპეტროვსკში — სსრ კავშირის თასის გათამაშება მაღალი შედეგებით ხასიათდება. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით პირველი დღის მსოფლიო რეკორდზე, მაგრამ არც შემდეგში შენელებულა წარმატებათა ტემპი.

ქვემსუბუქ წონაში ლაურეატობა დაიმსახურა რიგელმა ა. დინიკო